ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4897129

ნომერი: AR1739590

თარიღი : 11.03.2020

გაცემის თარიღი : 25.03.2020

გაცნობის თარიღი : 31.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი ბნელი , N 5/7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სულხან ქართველიშვილი პ/ნ 01017001753
- თბილისი მ.ზიჩის ქ. N 1

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს ჯდ კაპიტალი კოდი: 405170461

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურისსამსახურის 2017 წლის 08 მაისის №3199414 ბრძანებით დამტკიცებულმიწის ნაკვეთის მშენებლოდგამოყენებისპირობებშიცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 11 მარტის №AR1739590 განცხადებითმომართა მოქ. სულხან ქართველიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 08 მაისის №3199414 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: შეცვლილი საკადასტრო გეგმის დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 1 მაისის N1-993 ბრძანებით ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ბნელი ჩიხი N5/7-ში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი N01.18.03.065.013), არსებული შენობის (სასტუმროს ფუქნციით) სარეკონსტრუქციოდ მიენიჭა ინდივიდუალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები და განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) გადამეტების მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა: კ1=1,0. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი სსსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 08 მაისის №3199414 ბრძანებით № 01.18.03.065.013 (ფართობი: 96 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე არსებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საკადასტრო ერთეული N01.18.03.065.038 ფართობი - 97 კვ.მ), რომლის თანახმადაც შეცვლილია საკადასტრო ერთეულის მონაცემები. ასევე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 10 მარტის N№01.01200709 ბრძანება ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ბნელი ჩიხი N5/7-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.065.013) ინდივიდუალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მინიჭებისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 1 მაისის N1-993 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილებები უნდა აისახოს მიწის ნაკვეთის სამშენებლო დგამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 08 მაისის №3199414 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ:
- მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 97 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს - №01.18.03.065.038,
- საფუძვლებში მითითებული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 10 მარტის №01.01200709 ბრძანება.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 08 მაისის №3199414 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია„მშენებლობისნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27მარტის N4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესებით“ და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.